კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის

მისამართი: 0154 კედიას ქ. 7 საქართველო, თბილისი,
ტელ: +(995 32) 235 66 09
ელ-ფოსტა: ciltbilisi@gmail.com
ვებ-გვერდი: www.disability.ge
facebook www.facebook.com/cilkdc
skype cil.tbilisi

# შშმ პირთა სამოქალაქო მოძრაობის მოკლე ისტორია

საქართველოში შშმ პირთა სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლა 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო, როცა ქვეყანა ეროვნული განმანთავისუფლებელი მოძრაობის ტალღამ მოიცვა. 90-იანი წლებიდან ის ძირითადად საპროტესტო ხასიათს ატარებდა.

აქციები (მათ შორის შიმშილობის) იმართებოდა საქართველოს პარლამენტთან, კანცელარიასთან, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და სახალხო დამცველის ოფისთან. შშმ პირები, მათი უფლებების პატივისცემას, თანაბარ შესაძლებლობებს და ღირსეული თანაცხოვრებისთვის აუცილებელ პირობებს ითხოვდნენ.

მაშინ მოხდა სხვადასხვა ფორმის შეზღუდვის მქონე ორგანიზაციების (უსინათლოების, სმენის არმქონეთა, ეტლით მოსარგებლეების, მშობლების, შშმ პირთა სპორტის და სხვა) გაერთიანება, რომლებიც ხელისუფლებისგან არა ცალკეული სერვისების მხარდაჭერას, არამედ თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას მოითხოვდნენ.









1997 წელს "ინვალიდთა ლიგის" თაოსნობით შეიქმნა შეზრუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭო, რომელიც 1999 წელს, როგორც საზოგადოებრივი გაერთიანება, დაფუძნდა და ეწოდა „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის".
კოალიციამ ხელახალი რეგისტრაცია გაიარა 2003 წელს. დღეს მის შემადგენლობაში შედის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე 25 არასამთავრობო ორგანიზაცია.

კოალიცია შეზღუდული შესაძლებლობის ყველა კატეგორიაზე მომუშავე ორგანიზაციას აერთიანებს, ამასთანავე არის რამდენიმე ადგილობრივი და საერთაშორისო გაერთიანების წევრი ორგანიზაცია, მათ შორის:

- აღმოსავლეთ პარტნიორობის საქართველოს ეროვნული პლატფორმა
- შეზღუდული შესაძლებლობის მსოფლიო კავშირი (World Disability Union - WDU)
- დამოუკიდებელი ცხოვრების ევროპული ქსელი (European Network on Independent Living - ENIL)
- შეზღუდული შესაძლებლობის ევროპული ფორუმი (European Disability Forum - EDF)

# კოალიციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა და სამოქალაქო ინტერესების ადვოკატირება;
- საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება, ლობირება და ჰარმონიზაციაში მოყვანა საერთაშორისო აქტებთან და ნორმებთან;
- შეზღუდული შესაძლებლობისადმი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენა;
- ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობა და უნივერსალური დიზაინის პრინციპების დანერგვა;
- სოციალური მეწარმეობის განვითარება და შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობა;
- შშმ პირების გააქტიურების ხელშეწყობა, მათთვის დამოუკიდებელი და აქტიური ცხოვრების წესის სწავლება და პოპულარიზაცია;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ტრენინგების, საზოგადოებრივი აქციების, სპორტული და კულტურული ღონისძიებების გზით;
- ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობა სწავლების ყველა დონეზე;
- შშმ თემაზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერება;
- თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნის ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის;
- ინკლუზიური ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
- კოალიციის წევრი ორგანიზაციების განვითარების მხარდაჭერა.



კოალიციის ხელმძღვანელი გიორგი ძნელაძე უძღვება ტრენინგს შშმ ახალგაზრდებთან, უფლებების დაცვაზე






# კოალიციის მიმდინარე და განხორციელებული პროექტები და მიღწევები

## შეზღუდული შესაძლებლობის ადვოკატირების პროექტი



დონორი: აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)

განხორციელების წლები: 2012-2014 წ.წ.

გეოგრაფიული არეალი: თბილისი და იმერეთის, გურიის, სამეგრელოს და აჭარის რეგიონები



**პროექტის მიზანი:** გააძლიეროს შშმ პირთა ორანიზაციები თბილისში, გურიაში, სამეგრელოში, იმერეთსა და აჭარაში, რათა შშმ ქალებს, მამაკაცებსა და ბავშვებს მიეცეთ თავიანთ თემებში მიმდინარე განვითარების პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობა.

**სამიზნე ჯგუფები და პროექტის განხორციელების ადგილები:** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. პროექტი ხორციელდება თბილისსა და დასავლეთ საქართველოში.

**განხორციელების პერიოდი:** 2012-2014 წ.წ.

**პროექტის ფარგლებში:**

- გურიაში, სამეგრელოში, იმერეთსა და აჭარაში გამოვლინდნენ შშმ ახალგაზრდა *ლიდერები, მოხდა მათი უნარებისა და კვალიფიკაციის ამაღლება ადვოკატირებაში, მონიტორინგში, პროექტების შემუშავებასა და მართვაში;
- შეიქმნა დასავლეთ საქართველოში მოქმედ შშმ პირთა ორგანიზაციების ქსელი;
- დაიწყო მუშაობა შშმ პირთა ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტზე, რომელიც საქართველოს მთავრობის წარდგინება დასამტკიცებლად;
- გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გაიზარდა შშმ პირთა ორგანიზაციების ჩართულობა;
- გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები შშმ პირთა საკითხების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის მიზნით.













2012 წლის 30 ნოემბერს სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" შშმ პირთა საერთაშორისო დღისადმი (3 დეკემბერი) მიძღვნილი კონფერენცია - „შშმ პირები - არსებული სიტუაცია და ახალი გამოწვევები" გაიმართა. კონფერენციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, მინისტრთა კაბინეტის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, შშმ პირები და მათი ოჯახის წევრები ესწრებოდნენ. კონფერენცია მიზნად ისახავდა: საქართველოში შშმ პირთა მიმართ არსებული პოლიტიკისა და განხორციელებული პროგრამების მოკლე შეჯამებას, ასევე, სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობის გაღრმავებასა და საერთო ხედვის ინიცირებას. კონფერენცია გაიხსნა შეზღუდული შესაძლებლობის სამოქალაქო მოძრაობის მოკლე ვიდეო კოლაჟით, რომელსაც ახალგაზრდა ლიდერები უძღვებოდნენ. კლიპის ნახვა შესაძლებელია კოალიციის ელექტრონულ გვერდზე - www.disability.ge



### კონფერენციაზე იქნა მიღებული რეზოლუცია:

1. შესაძლებლობის უზრუნველყოფის 2013-2016 წ.წ. სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიღება;
2. გაეროს 2006 წლის შშმ პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება;
3. 2013 წლის შშმ პირთა წლად გამოცხადება.



## 2013 წელს რეზოლუციის სამივე საკითხი იქნა მიღწეული!







კოალიციის აქტიურობით რეგულარულადეწყობა ტელე და რადიო გადაცემები შეზღუდული შესაძლებლობის თემაზე.







სოციალური საინფორმაციო ვიდეო რგოლის გადაღებისას „თეგეტა მოტორსა" და ექსპო ჯორჯიაში.

# შეზღუდული შესაძლებლობის ადვოკატირების პროექტი



დონორი: აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).

პარტნიორი: მსოფლიოს ინვალიდობის ინსტიტუტი (WID)

განხორციელების წლები: 2008-2013 წ.წ.

გეოგრაფიული არეალი: თბილისი, გორი და ზუგდიდი

პროექტის ფარგლებში:





- გაიხსნა საინვალიდო ეტლების საწარმო თბილისში და ეტლების შესაკეთებელი სახელოსნოები გორსა და ზუგდიდში.
- ნეიროგანვითარების ცენტრის ბაზაზე შეიქმნა ეტლში ჯდომის კორექციისა და ეტლის ბალიშების სერვისი;
- ჩატარდა 4 აქტიური რეაბილიტაციის 5-დღიანი ბანაკი ეტლით მოსარგებლე მამაკაცებისა და ქალებისათვის, რომლის დროსაც 60-ზე მეტმა ეტლით მოსარგებლემ ისწავლა ეტლის აქტიური მოხმარება და მოვლა, დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევები;
- მომზადდა პროფესიონალური კადრები ეტლისა და დამხმარე დასაჯდომი საშუალებების ინდივიდუალური მორგებისა და სერვისის მისაწოდებლად;
- ჩატარდა 100-ზე მეტი სემინარი და კინო-ჩვენებება ხელმისაწვდომ გარემოსა და ბარიერების აღმოფხვრის აუცილებლობაზე სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან, მათ შორის შშმ პირებთან, მათი ოჯახის წევრებთან, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან, მედია პროფესიონალებთან და ა.შ.
- მოეწყო რამდენიმე ერთ-დღიანი ტრენინგი ეტლით მოსარგებლეებისათვის თბილისში, გორსა და ზუგდიდში მათი ფიზიკურად გააქტიურებისა, ეტლით აქტიურად სარგებლობისა და ასევე საკუთარი უფლებების შესახებ მათი ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით.
- განხორციელდა 10-ზე მეტი მინი-პროექტი არქიტექტურული ბარიერების აღმოფხვრის მიზნით თბილისში, გორსა და ზუგდიდში, რომლის შედეგადაც პანდუსები გაუკეთდა საჯარო სკოლებს, ეკლესიებს, მუნიციპალურ დაწესებულებებს და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებს.

პროექტის ფარგლებში შესალებელი გახდა დამხმარე საშუალებების წარმოება შშმ პირებისათვის, მათი საჭიროებების შესწავლითა და ინდივიდუალური მიდგომებით. შეიქმნა **სოციალური საწარმო**, სადაც დასაქმდა **10 შეზღუდული** შესაძლებლობის მქონე პირი.

# იცხოვრე ბარიერების გარეშე!







გელა ლაღიძე ერთ-ერთი ეტლის მოსარგებლეა, ვინც პროქტის ფარგლებში დასაქმდა

სოციალურმა საწარმომ უკვე გამოუშვა **2000-ზე მეტი აქტიური ტიპის ეტლი**, რაც ნიშნავს, რომ 2000-ზე მეტი ეტლის მოსარგებლე პირის დამოუკიდებლობის ხარისხი იქნა გაუმჯობესებული. ეტლის შეკვეთები კოალიციის სოციალურმა საწარმომ სომხეთიდან, და აზერბაიჯანიდანაც მიიღო.

ამავე პროექტის ფარგლებში გორში, ორგანიზაცია "გორის ინვალიდთა კლუბი"-ს ბაზაზე გაიხსნა სამკერვალო, სადაც სპეციალისტები კერავენ ნაწოლებისგან დამცავ სპეციალურ ბალიშს, ხოლო თბილისში ორგანიზაცია "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მეწარმეთა დასაქმების კავშირი"-ს ბაზაზე არსებულ სახელოსნოში იკერება შალითები საწარმოში დამზადებული ეტლებისათვის.

## ეტლში ჯდომის საკორექციო დამხმარე საშუალებების სერვისი - პირველად ამიერკავკასიაში



პროექტის შედეგად საქართველოში დაინერგა ჯდომის კორექციისა და ეტლის მორგება/გადაკეთების უმნიშვნელოვანესი სერვისი, რომელიც გულისხმობს:

- მომხმარებლის საჭიროების შეფასებას;
- ტლის მდგომარეობის დადგენას;
- ეტლის ზომებისა და სხეულის ზომების დადგენას;
- ეტლის მომხმარებლის წონასწორობის შენარჩუნების უნარის შეფასებას;
- სახსრების მოძრაობის სიფართის და ზეწოლის დონის დადგენას;
- ეტლში ხანგრძლივი ჯდომის გამო მეორადი პრობლემების და მათი გაჩენის რისკის შეფასება, რაც ხელს უწყობს ხერხემლის სწორ განვითარებას (დეფორმაციის შემთხვევაში) ნაწოლის გაჩენის პრევენციას და ეტლით მოსარგებლე ადამიანის აქტიური და დამოუკიდებელ ცხოვრებას.

ჩატარებული შეფასებიდან გამომდინარე, ხდება სხვადასხვა სირთულის სერვისის მიწოდება:

- ბალიშის ზომების და ტიპის შერჩევა მცირე მოდიფიკაციით;
- ეტლის დასაჯდომის ზედაპირისა და საზურგის გადაკეთება სხვადასხვა სტანდარტული დამხმარე საშუალებებით;
- ინდივიდუალური ფორმირებული ბალიშის დამზადება;
- კონკრეტულ შემთხვევაში სპეციფიკიდან გამომდინარე ეტლის გადაკეთება და მორგება (შეიძლება საჭიროებდეს სპეციალისტთან რამდენიმე ვიზიტს).

შეფასებებისა და შესაბამისი სერვისის მისაწოდებლად საქართველოში უცხოელი ექსპერტის, ჯემი ნუნის მიერ, მომზადდა 16 სერთიფიცირებული კონსულტანტი/ტრენერი (ნეიროგანვითარების ცენტრი და კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის), რომლებიც თავის მხრივ ატარებენ ტრენინგების ციკლს (საბაზისო, შუალედური და მაღალი დონის სერვისი) ოკუპაციური თერაპევტებისათვის, შშმ პირთა ორგანიზაციების თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

აღნიშნული პროდუქტებისა და სერვისის დანერგვიდან დღემდე პროექტის ფარგლებში მომსახურება გაეწია 180 ეტლით მოსარგებლეს თბილისში და 100-მდე ეტლით მოსარგებლეს რეგიონებში. აქედან 100 ადამიანს უფასოდ გადაეცა "ყველგანმავალი" და გაეწია მომსახურება ამ ეტლების მოსარგებად, ხოლო დანარჩენს გაეწიათ მომსახურება საკუთარი არსებული ეტლების მოსარგებად.

## ახალი ელექტრო ეტლი ქართულ ბაზარზე



2013 წლიდან კოალიციამ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის დაიწყო ელექტრო ეტლის წარმოება. ეროვნული წარმოების ელექტრო ეტლი სოციალურ საწარმოში გამოშვებული ნახევრადაქტიური ეტლის - „ყველგანმავალის" კორპუსზეა აგებული. იგი სხვა ელექტრო ეტლებისგან გამოირჩევა იმით, რომ მსუბუქია (იწონის 36 კგ. მაშინ, როცა სხვა ქვეყნებში წარმოებული ელექტრო ეტლების წონა 100 კგ-დან იწყება), შესაძლებელია მისი დაკეცვა. გარდა ამისა, ეხსნება უკანა თვლები, რაც მოსახერხებელს ხდის მის ავტომობილით ტრანსპორტირებას. მუშა რეჟიმში მოყვანილი აკუმულატორით (რომელიც ელექტრო ეტლის უკანა თვალშია ჩამონტაჟებული) მას შეუძლია 7 კილომეტრის გავლა. წინა თვლებისა და კორპუსის უნიკალურობის ხარჯზე გამოირჩევა უსაფრთხოების მაღალი ხარისხით.

მსუბუქი ტიპის ელექტრო ეტლი ინდივიდუალური მისადაგებით მზადდება, შესაძლებელია მასზე დამატებითი საკორექციო საშუალებების დამონტაჟებაც და სამართავი პულტის ბენეფიციარის სურვილისამებრ მარცხენა, ან მარჯვენა გვერდულზე დაყენება.

საწარმოში, ეტლების გარდა შესაძლებელია ავტომობილის ხელით სამართავი სისტემების, ბალიშების, პორტატული და ფუნდამენტური პანდუსების, საკორექციო და სხვა დამხმარე საშუალებების დამზადება. საწარმოში ერთხელ სპეციალური ეტლი შინაური ცხოველებისთვისაც დამზადდა.

საწარმოში, ეტლების გარდა შესაძლებელია ავტომობილის ხელით სამართავი სისტემების, ბალიშების, პორტატული და ფუნდამენტური პანდუსების, საკორექციო და სხვა დამხმარე საშუალებების დამზადება. საწარმოში ერთხელ სპეციალური ეტლი შინაური ცხოველებისთვისაც დამზადდა.





ელექტრო ეტლის პრეზენტაციას კოალიციის სოციალურ საწარმოში სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად, აშშ-ს ელჩი, ბატონი რიჩარდ ნორლანდიც დაესწრო.

## აქ ყველაფერი ბენეფიციარის საჭიროებების გათვალისწინებით და ინდივიდუალური მისადაგებით მზადდება!





# დამოუკიდებელი ცხოვრების ბანაკი







კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ყოველწლიურად ეტლით მოსარგებლეებისთვის აწყობს დამოუკიდებელი ცხოვრების ბანაკს.

**ბანაკში მათ ექმნებათ შესაძლებლება ისწავლონ:**

- ეტლის მართვა;
- ეტლის მორგება და სწორი ჯდომა;
- შენახვა და მოვლა;
- ბალანსირება;
- სწორად გადაჯდომა (ეტლიდან ავტომობილში, აბაზანაში, სკამზე, საწოლში და სხვა);
- საკუთარი თავის მოვლა;
- პირადი ჰიგიენის დაცვა;
- მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია სექსუალური ცხოვრების მოწყობისა და რეპროდუქციის შესახებ;
- იღებენ ინფომრაციას უფლებების დაცვის შესახებ;
- არიან ჩართულნი სპორტულ აქტივობებში (მშვილდოსნობა, მაგიდის ტენისი, კალათბურთი, მარათონი და სხვა);
- დამოუკიდებელი და აქტიური ცხოვრებისათვის საჭირო სხვა უნარ-ჩვევები;

2010 წლიდან დღემდე ბანაკში დამოუკიდებელი ცხოვრების კურსი 60-ზე მეტმა ეტლით მოსარგებლე პირმა გაიარა





2012 წელს დამოუკიდებელი ცხოვრების ბანაკი ახალგაზრდა სოც. მუშაკებმაც გაიარეს. მიღებული ცოდნა მათ დაეხმარება ეტლით მოსარგებლე პირთა საჭიროებების ცოდნაში და მათთან პროფესიულ ურთიერთობაში



# ხელმისაწვდომი არჩევნები თანაბარი უფლებებისთვის



დონორი: საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES), საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.

პარტნიორი:ცენტრალური საარჩევნო კომისია.

განხორციელების წლები: (სხვადასხვა პროექტების): 2008-2013 წ.წ.

გეოგრაფიული არეალი: თბილისი და საქართველოს სხვადასხვა რეგიონები.





კოალიციის ერთ-ერთი პრიორიტეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემო-პირობების შექმნის ხელშეწყობაა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები თანხმდებიან, რომ მათთვის მიუღებელია არჩევნებში მოძრავი ყუთით მონაწილეობის მიღება და პრიორიტეტს საარჩევნო უბნების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.

პროექტები თანაბრად მოიცავს როგორც თბილისს, ასევე საქართველოს რეგიონებს.

- იმართება სამუშაო შეხვედრები შშმ ამომრჩეველთან, რომელიც მიზნად მათ ინფორმირებას და საარჩევნო კულტურის გაზრდას, ასევე, მოტივაციის ამაღლებას ისახავს;
- კოალიციის ინიციატივით 2008 წელს თბილისში მოხდა 5 საარჩევნო უბნის (საჯარო სკოლების) ადაპტირება;
- პირველად 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დაინერგა მობილური ჯგუფების სერვისი, რომლებიც აღჭურვილია სპეციალური ლიფტის მქონე მიკროავტობუსებით, მოძრავი პანდუსებით და ემსახურებიან შშმ ამომრჩეველს. დღეისათვის მობილური ჯგუფების სერვისით ისარგებლა 200-ზე მეტმა შშმ პირმა, მათმა უმეტესობა არჩევნებში პირველად მიიღო მონაწილეობას.



- ჩატარდა საარჩევნო კვლევა, რომლის დროსაც წინასწარ შერჩეულმა ინტერვიუერებმა მთელი საქართველოს მასშტაბით კარდაკარ 8532 შშმ ამომრჩეველი მოიარეს. აქედან: 1902 ეტლით მოსარგებლე, 4792 უსინათლო და 1829 სმენადაქვეითებული;
- ყოველი არჩევნების წინ იმართება საზოგადოებრივი აქცია, რომელშიც მონაწილეობას ინვალიდობის მქონე პირები, მოხალისეები და სტუდენტები იღებდნენ. აქცია იმართებოდა დევიზით - **"დამოუკიდებელი პიროვნება - თავისუფალი არჩევანი"**, რითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები საჯაროდ აცხადებენ, რომ არახელმისაწვდომი საარჩევნო ინფრასტრუქტურის მიუხედავად, ისინი საარჩევნო უბნებზე მისვლით იღებენ არჩევნებში მონაწილეობას და მოუწოდებენ საზოგადოებას, რომ ისინიც იყვნენ აქტიურნი.
- 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს საარჩევნო უბნებზე პირველად განთავსდა ადაპტირებული კაბინები ეტლით მოსარგებლე ადამიანებისთვის, 2013 წელს ადაპტირებულმა კაბინებმა 800 ერთეულს შეადგინდა;
- ცესკოს წარმომადგენლებს ჩაუტარდათ სემინარები შშმ პირთა საჭიროებებისა და ეთიკის ნორმებზე;
- გატარდა სხვა საზოგადოებრივი და საინფორმაციო კამპანიები.







# შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები: საზოგადოების განუყოფელი და პატივსაცემი ჯგუფი

დონორი: ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტო.

პარტნიორი:ჩეხეთის კარიტასი; საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია; საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

განხორციელების წლები: (სხვადასხვა პროექტებისს): 2012-2014

გეოგრაფიული არეალი: თბილისი.

**პროექტის მიზნები:**

- სახელმწიფო დაწესებულებების, დამსაქმებლებისა და ზოგადად საზოგადოების ცნობიერების ამაღლება შშმ პირთა შესახებ;
- მასალების მომზადება საჭირო საკანონმდებლო ცვლილებებისათვის, რაც ხელს შეუწყობს შშმ პირთა დასაქმების პირობების გაუმჯობესებას;
- დამსაქმებლებსა და შშმ პირთა შორის სამუშაო ურთიერთობების წარმართვის ხელშეწყობა, ასევე დამსაქმებლების მოტივირება შშმ პირთა დასაქმების კუთხით.

**პროექტის შედეგები:**

პროექტის შედეგად გაიზრდება საზოგადოებრივი ცნობიერება შშმ პირთა შრომითი უფლებების შესახებ; მომზადდება საკანონმდებლო ცვლილებებისათვის მასალები, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში შშმ პირთა დასაქმების პირობების გაუმჯობესებას. პროექტის შედეგად ასევე სხვადასხვა დაწესებულებებში სტაჟირებას გაივლის და საბოლოოდ დასაქმდება 20-მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

# ახალგაზრდები ავითარებენ სამოქალაქო დიპლომატიას

დონორი: ეუთოს მისია საქართველოში, მსოფლიო ინვალიდობის ინსტიტუტი (აშშ), "პერსპექტივა" (რუსეთი).

პარტნიორი: აფხაზეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია "აისი".

განხორციელების წლები: 2004-2005 წ.წ.

გეოგრაფიული არეალი: თბილისი.

**პროექტის მიზნები:**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების გამოვლენა და დატრენინგება კონფლიქტების მოგვარების კუთხით; ამ მიზნით ეწყობოდა სამუშაო და მრგვალი მაგიდა შეხვედრები მოსკოვში, რომელსაც ესწრებოდნენ ახალგაზრდები აფხაზეთიდან და ოსეთიდანაც. პროექტის შედეგები:

**პროექტის შედეგები:**

- მომზადდა შშმ ახალგაზრდა ლიდერები, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი ტრენერებისთვისთვის და ლიდერობისთვის. მათი უმეტესობა დღემდე აგრძელებს უფლებადაცვით საქმიანობას;
- გადაღებული იქნა ფილმი "ღია ფანჯრები", პირველი ფილმი, რომელიც ბარიერების მსხვრევას ემსახურებოდა;
- გაჩნდა და დღემდე შენარჩუნებულია მეგობრული კავშირები საქართველოს, რუსეთისა და აფხაზეთის შშმ პირთა წარმომადგენლებს შორის.

# ხელმისაწვდომი გარემოს ხელშეწყობა



დონორი: "შავი ზღვის ფონდი რეგიონალური თანამშრომლობისათვის" (Black Sea Trust)

პარტნიორი: არასამთავრობო ორგანიზაცია "სკარპი" (სომხეთი)

განხორციელების წლები: სექტემბერი, 2010 - თებერვალი, 2011

გეოგრაფიული არეალი: თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის მუნიციპალიტეტი.

**პროექტის მიზნები:**

პროექტის მიზანი: ხელი შეეწყოს ერთი სრულიად ადაპტირებული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს შექმნას თბილისის ერთ რაიონსა და ერევნის ერთ რაიონში შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების ძალაში მოყვანით, რასაც საბოლოო შედეგად მოყვება შშმ ადამიანების ჩართულობა საქართველოსა და სომხეთის სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. პროექტის მიზანს ასევე წარმოადგენდა ადგილობრივი მთავრობების გაძლიერება, შერჩეული რაიონების საზოგადოებისა და ბიზნეს-სექტორის მობილიზაცია და ინფორმირება ინვალიდობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თემაზე.

**პროექტის შედეგები:**

პროექტის შედეგად გაკეთდა დიდუბის მუნიციპალიტეტის სიტუაციური ანალიზი, რომლის შედეგადაც გამოვლინდა, თუ რამდენი შშმ პირი ცხოვრობს დიდუბის რაიონში, რამდენი საგანმანათლებლო, კულტურული თუ საჯარო დანიშნულების ობიექტია და რამდენია მათგან ადაპტირებული. პროექტის აქტივობების შედეგად მოხდა დამონტაჟდა პანდუსები დიდუბის რაიონში განლაგებული საჯარო დანიშნულების ობიექტებზე.

# ჯვარედინი ინიციატივა შშმ ადამიანების უფლებების დასაცავად

დონორი: განათლების განვითარების ცენტრი, აშშ (Education Development Center, USA)

განხორციელების წლები: 2008-2009 წ.წ

გეოგრაფიული არეალი: თბილისი.

**პროექტის მიზანი:**

კოალიციის, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ყველაზე დიდი გაერთიანების გაძლიერება და მისი ქმედითუნარიანობის გაზრდა, რათა უფრო ეფექტურად მოხდეს ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა უფლებებისა და ინტერესების ადვოკატირება.

**პროექტის შედეგები:**

პროექტის შედეგად კოალიციის წევრი ორგანიზაციებისაგან შეიქმნა ორი სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც შეიმუშავეს და განახორციელეს მინი-პროექტები შშმ პირთა დასაქმებისა და შშმ პირთა ინფორმირებულობის გაზრდის მიმართულებით. პროექტის შედეგად, გაძლიერდა როგორც თავად კოალიცია, ასევე მისი წევრი ორგანიზაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების დასაქმებისა და ინფორმაციის მოგროვებისა და კვლევის კუთხით.



# შეზღუდული შესაძლებლობის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერება შშმ ადამიანებისთვის თანაბარი პირობების ხელშესაწყობად

დონორი: ფონდი «ღია საზოგადოება - საქართველო»

განხორციელების წლები: იანვარი, 2012 - ოქტომბერი, 2012

გეოგრაფიული არეალი: თბილისი.

**მიზანი:**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010-2012 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის ხელშეწყობას ინვალიდობის სფეროში მომუშავე ორგანიზაციების გაძლიერების გზით.

**პროექტის შედეგები:**

პროექტის შედეგად მოხდა კოორდინაციის გაუმჯობესება როგორც კოალიციის შიგნით მის წევრ ორგანიზაციებს შორის, ასევე კოალიციასა და სამთავრობო სტრუქტურებს შორის. შემუშავდა კოალიციის სტრატეგიული განვითარების ახალი 4-წლიანი სამოქმედო გეგმა; გაძლიერდა ინვალიდობის სფეროში მომუშAვე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, მათ შორის ახალგაზრდა შშმ ლიდერები, ტრენინგების გზით; მოეწყო თემატური შეხვედრები სხვადასხვა თბილისსა და ქუთაისის საკონსულტაციო საბჭოების წარმომადგენლებთან, რის შედეგადაც ამაღლდა საბჭოს წევრების ინფორმირებულობის დონე და გაუმჯობესდა კოორდინაცია სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებს შორის.

# მე ვიცავ უფლებებს: ხელმისაწვდომი პარკინგი შშმ პირებისათვის

კოალიცია იყო პარტნიორი ა/ო მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემოსათვის, რომელიც ფონდ „ღია საზოგდოება საქართველოს მხარდაჭერით ახორციელებდა პროექტს „მე ვიცავ უფლებებს". პროექტის მიზანი იყო შშმ პირთა უფლებების რეალიზება ავტოსადგომებზე. პროექტი მოიცავდა ადვოკატირების კამპანიას: შშმ პირები მხარდამჭერ ჯგუფებთან( ჟურნალისტები, მომღერლები, სპორტსმენები, ხელოვნები, ცნობილი სახეები) ერთად ახდენდნენ საზოგადოების ინფორმირებას საკუთარი უფლებების შესახებ. ეწყობოდა ტელე და რადიო გადაცემები, სტატიები. პარალელურად მიმდინარეობდა მოლაპარაკების პროცესი გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან. ადვოკატირების კამპანია „მე ვიცავ უფლებებს!" წარმატებული პროექტის საუკეთესო კეისია ეროვნულ დონეზე.










# თანაბარი პირობების შექმნის ხელშეწყობა შშმ ადამიანებისთვის

ᲓᲝᲜᲝᲠᲘ: აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)

ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ: ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები (Save the Children)

ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲘ: 2006-2012 წ.წ.

ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲐᲠᲔᲐᲚᲘ: თბილისი, იმერეთი, კახეთი, აჭარა.

**პროექტის მიზნები:**

გააუმჯობესოს შესაბამისი პირობები საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სრული ჩართულობისა და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე პროექტის ამოცანაა ხელი შეუწყოს კოორდინაციას მთავრობას, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რათა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასახმარებლად ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკა და სტრატეგია შეიქმნას.

**პროექტის ფარგლებში განხორციელდა:**

- კოალიციის ინსტიტუციური გაძლიერება;
- შეიქმნა **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია**, რომელიც 2008 წლის 2 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო;
- შეიქმნა **საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო**, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ მინისტრთა კაბინეტის, საქართველოს პარლამენტის და უფლებათადამცველი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეს საქართველოში, იმართება შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებთან დაკავშირებული **გამოფენა-ფორუმი**, რომლის დროსაც იმართება არასამთავრობო ორგანიზაციების პრეზენტაციები, სოციალური საწარმოების გამოფენა-ბაზრობები, თემატური დისკუსიები და დაჯილდოების ცერემონიალი;
- 3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს მუდმივად იმართება კვირეულები და სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომელთა მიზანი სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების დაახლოება, მათ შორის კორდინაციის გაძლიერება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა.
- საქართველოს სამ რეგიონში (კახეთი, იმერეთი და აჭარა) გამოვლინდნენ შეზღუდული შესაზლებლობის მქონე ახალგაზრდა ლიდერები, ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფები;
- გაიმართა 200-ზე მეტი სემინარი და ტრენინგი არქიტექტორებთან, სტუდენტებთან, პედაგოგებთან, ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურთან, ჟურნალისტებთან, პატრულის თანამშრომლებთან და სხვა. აღნიშნულ ტრენინგებსა და სემინარებს 2000-ზე მეტი მონაწილე დაესწრო.
- მოხდა 6 სოციალური სარეკლამო რგოლის და დოკუმენტური ფილმის "როგორ ინგრევა კედელის" გადაღება, რომელთა ნახვა სემინარებზე, კინო-ჩვენებებზე, ფესტივალებსა და ტელევიზიის საშუალებით ასი ათასზე მეტმა ადამიანმა შესძლო;
- გამოიცა სხვადასხვა სახის პუბლიკაციები და ბეჭდვითი მასალები.















## შშმ პირთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავი აქციები და ღონისძიებები

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ყოველწლიურად აღნიშნავს 3 დეკემბერს (შშმ პირთა საერთაშორისო დღე) და 14 ივნისს (შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე საქართველოში, რომელიც კოალიციის ინიციატივით დაარსდა 2003 წელს).

უფლებების დაცვის დღეს იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, კამპანიები, კონფერენციები, რაც შშმ პირთა უფლებების დაცვას, შესაძლებლობების პოპულარიზაციას, სფეროში მომუშავე არასამთავრობო, სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას ისახავს მიზნად.

## აქცია პარლამენტთან

2013 წელს ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე სოლიდარობის სპორტული აქცია გაიმართა. აქციაში მონაწილეობა ეტლით მოსარგებლე პირებმა და საქართველოს პარლამენტის წევრებმა მიიღეს. აქციის მიზანია: კანონმდებლობის მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების უკეთ გაცნობა და გადაწყვეტილების მიღების დროს მათი გათვალისწინება.

აქციაში მონაწილეობდნენ: თამარ კორძაია, ზაქარია ქუცნაშვილი, გიგი წერეთელი, გოგა ხაჩიძე, დავით ლორთქიფანიძე და გედევან ფოფხაძე.ღონისძიებასესწრებოდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიაზერბაიჯანიდან.

სოლიდარობის სპორტული აქცია გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ მხარდაჭერილი - "შეზღუდული შესაძლებლობის ადვოკატირების პროექტის" ფარგლებში, რომელსაც კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის" ახორციელებს.







## სოლიდარობის მატარებელი



2011 წლის 3 დეკემბერს (შშმ პირთა საერთაშორისო დღეს, კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა, შშმ პირებმა, სტუდენტებმა და მათმა მეგობრებმა ცოცხალი მატარებელის ორგანიზება გააკეთეს. აქციაში მონაწილეობა 40-მე მეტმა შშმ პირმა და 100-ზე მეტმა მათმა მხარდამჭერმა და მეგობრმა მიიღო. მატარებელმა სტარტი ჭავჭავაძის გამზირზე აიღო, გზადაგზა იმართებოდა სიმბოლური გაჩერებები განათლების, დასაქმების, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის თემებზე, რომლის დროსაც აქციის მონაწილეები მოქალაქეებს საკუთარ უფლებებს აცნობდნენ. ბოლო გაჩერება კი ფილარმონია იყო. ფილარმონიასთან ეტლით მოსარგებლეებმა საზოგადოებას საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირება მოუწყეს და ხელოვნურად აღმართული დაბრკოლებები გადალახეს, ნებისმიერ გამვლელს შეეძლო ეტლის მორგება და დაბრკოლებების გადალახვის მცდელობა. აქცია მიზნად შშმ პირთა უფლებების დაცვას და გაეროს 2006 წლის შშმ პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირების ხელშეწყობას ისახავდა







# გამოფენა - ფორუმი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე



გამოფენა-ფორუმი ყოველწლიურად 500-ზე მეტ სტუმარს მასპინძლობს.







ყოველწლიურად 14 ივნისს, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

უფლებების დაცვის დღეს, თბილისში იმართება გამოფენა-ფორუმი.

გამოფენა-ფორუმში საშუალოდ 45 სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები მონაწილეობს.

გამოფენა-ფორუმის დროს იმართება შეზღუდული შესაძლებლობებთან დაკავშირებული თემატური დისკუსიები, პრეზენტაციები. სხვადასხვა ორგანიზაციები და სოციალური საწარმოები წარმოადგენენ საკუთარ პროდუქტებს. ეწყობა გამოფენა-გაყიდვა.

დასკვნით ნაწილში იმართება დაჯილდოების ცერემონიალი შეზღუდული შესაძლებლობის თემაზე შექმნილ საუკეთესო ფოტოსურათს, სოციალური ვიდეო რგოლის, დოკუმენტური ფილმის, ტელე-სიუჟეტის, სტატიის, პროექტების და წლის უფლებების დამცველის ნომინაციებში.





2010 წელს გამარჯვებულებმა წითელ ხალიჩაზე გაიარეს





2009 წლის ინტერესთა დამცველს - **გიორგი ძნელაძეს**, პრიზი აშშ-ს ელჩმა **ჯონ ტეფტმა** გადასცა



2010 წლის ინტერესთა დამცველი - **ირინე ინასარიძე**



გამარჯვებული დოკუმენტური ფილმის "როგორ ინგრევა კედელის" ავტორი **გიორგი გვიშიანი**



კომპანია **"ჯეოსელი"** გამოფენა-ფორუმის მუდმივი პარტნიორია



რუსთავი 2-ის ჟურნალისტმა, **მაია ლომიძემ** საუკეთესო ტელე-სიუჟეტის ნომინაციაში გაიმარჯვა



2010 წელს პარტნიორთა რიცხვს საქართველოს **ზარაფხანაც** შეუერთდა

# შეცვალე სამყარო შენთვის და ჩემთვის









### პირველი ფლეშმობი საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის თემაზე - ცეკვით დაცული უფლებები!



2013 წლის 14 ივნისს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეს, კოალიციის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ინიციატივით, საქართველოში. რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე ფლეშმობი გაიმართა. შშმ ახალგაზრდებმა პროფესიონალ მოცეკვავეებთან ერთად ფლეშმობი გამართეს, რომლის დროსაც მაყურებლის წინაშე ფრისტაილი იცეკვეს და საზოგადოებას მათი ინტერესების დაცვისა და მიღწევების დაფასებისკენ მოუწოდებს..

მიუხედავად იმისა, რომ ფლეშმობი 3 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა, მან საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია და ტელეკომპანია „იმედის" პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. შოუს დასრულების შემდეგ, „იმედის" შემოქმედებითი ჯგუფი ფეხზე დამდგარი უკრავდა ტაშს მონაწილეებს. პირველივე დღეს ფლეშმობის ვიდეო სოციალურ ქსელ „იუტუბზე" ინტერნეტის 500 მომხმარებელს ქონდა ნანახი. ფლეშმობის შემდეგ მონაწილეები საქართველოში ეტლით მოსარგებლე პირთა ჰიპ-ჰოპისა და სხვა თანამედროვე ცეკვების განვითარებზე მუშაობენ, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების გააქტიურებასა და უფლებებისა და შესაძლებლობების პოპულარიზაციასთან.

„მე შემიძლია ცეკვა, მე შემიძლია ფრენა! მე შემიძლია ბედნიერება და შემიძლია ვიყო ყველგან, სადაც მომინდება. არ არსებობს ბარიერი, რომელიც გამაჩერებს მე. დაფიქრდი: რა შეგიძლია შენ?", - თიკო რევაზაშვილი. ფლეშმობის მონაწილე.







# კოალიციის ვიზიტი ვაშინგტონში

კოალიციის წარმომადგენლები 21 ივლისიდან 31 ივლისამდე იმყოფებოდნენ აშშ-ში, ვაშინგტონში, რათა მონაწილეობა მიეღოთ ამერიკის დამოუკიდებელი ცხოვრების ეროვნული საბჭოს ყოველწლიურ კონფერენციაში (24-27 ივლისი) და დამოუკიდებელი ცხოვრების მენეჯმენტსა და ლიდერობაში ტრენინგ-სემინარებში, რომელსაც ორგანიზებას უწევდა "ჯანდაცვის მენეჯმენტის მეცნიერებათა" ორგანიზაცია.

აშშ-ში ვიზიტის დროს, კოალიცია შეუერთდა ამერიკის დამოუკიდებელი ცხოვრების ეროვნული საბჭოს მიერ მოწყობილ აქციას გაეროს 2006 წლის შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის რატიფიცირეასთან დაკავშირებით.












ვიზიტის დროს კოალიციის წარმომადგენლები აშშ-ში რეაბილიტაციის პროგრამით მყოფ ავღანეთის სამშვიდობო მისიის ქართველ ვეტერან ჯარისკაცებსაც შეხვდნენ.

# ადვოკატირების კამპანიები გაეროს 2006 წლის შშმ პირთა კონვენციის რატიფიცირების, და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე საკითხების ირგვლივ







კოალიციის და მისი წევრი ორგანიზაციების ინიციატივითა და ორგანიზებით პერმანენტულად იმართება ადვოკატირების კამპანიები, რომელთა უმეტესობა ორიენტებულია შშმ პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე. სახელისუფლებო, საერთაშორისო და არასამთვრობო ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის გაძლიერებაზე. ასევე, გაეროს 2006 წლის შშმ პირთ უფლებების კონვენციის რატიფიცირებაზე.

ადვოკატირების კამპანიების პარარელურად მიმდინარეობს საკითხების ლობირება გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან, რათა სახელმწიფოში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც შშმ პირებს ეხება შშმ პირების ჩართულობითა და მათი აზრის გათვალისწინებით ხდებოდეს.

# შშმ პირების საკითხებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული საკოორდინაციო საბჭო



კოალიციის მრავალწლიანი ძალისხმევითა და აქტიური მუშაობის შედეგად, საქართველოს მთავრობის # 231 დადგენილებით 2009 წლის 15 დეკემბერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს შექმნას ხელი მოეწერა.

საკოორდინაციო საბჭოში 7 მინისტრი შევიდა. ასევე, მონაწილეობის მიღება ეთხოვა 7 უფლებადამცველს, სახალხო დამცველსა და საქ. პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხების კომიტეტის თავმჯდომარეს.

მიუხედავად ამისა, საკოორდინაციო საბჭო პირველად 2011 წლის 1 დეკემბერს გაიმართა. 2012 წლიდან კი რეგულარული ხასიათი მიიღო.





საბჭოში, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შშმ პირთა ორგანიზაციები ირჩევენ და მასში შშმ პირთა ყველა კატეგორია არის წარმოდგენილი.

შშმ პირთა საკოორდინაციო საბჭო თავისი არსით არის პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სათათბირო ორგანო, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის ჩართულობით სახელმწიფოში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, მის ეფექტურად განხორციელებასა და კოორდინაციას.

**საბჭოს მიზანია** - მხარი დაუჭიროს იმ პოლიტიკის შემუშავებასა და პროგრამების განხორციელებას, რომელიც ხელს შეუწყობს შშმ პირთა თანაბარი უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

**წევრობა:** პრემიერ-მინისტრი იწვევს და ნიშნავს წევრებს საბჭოში, როგორც სამთავრობო სტრუქტურებიდან, ისე შშმ პირთა არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, სხდომებზე იწვევს დამოუკიდებელ ექსპერტებს.



2013 წლის 21 მაისი. ქ. თბილისი. შშმ პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლები საკოორდინაციო საბჭოში სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს ირჩევენ







## შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაუმჯობესებისთვის

2013 წლის 3 დეკემბერს, რედისონში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაუმჯობესებისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, აშშ-ს სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, ასევე, საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასობრივი მედია საშუალებების წარმომადგენლები, ავღანეთში სამშვიდობო მისიაში დაჭრილი ვეტერანები.

ღონისძიება გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ მხარდაჭერილი "შეზღუდული შესაძლებლობის ადვოკატირების პროექტის" ფარგლებში, რომელსაც კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის" ახორციელებს.

შეხვედრიდან 2 დღის შემდეგ, 5 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე".

დადგენილების თანახმად 5 წლის ვადაში მოხდება ყველა საჯარო შენობის ადაპტირება შშმ პირთათვის. ასევე, „უნივერსალური დიზაინის" სტანდარტების გათვალისწინებით განისაზღვრა სამშენებლო ნორმატივები,



## აქცია-მსვლელობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად!

3 დეკემბერს, შშმ პირთა საერთაშორისო დღეს, კოალიციამ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის გამართა აქცია-მსვლელობა ცოცხალი ჯაჭვით ვარდების რევოლუციის მოედნიდან რუსთაველის მეტრომდე. მსვლელობა მიეძღვნა შშმ პირების უფლებების გაუმჯობესებას და მასში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი მეგობრები იღებდნენ.



თემურ სახოკია (ომის ვეტერანი), რომელსაც ორივე ხელი ამპუტირებული აქვს, აქციის მედროშე იყო.









# ვიქტორია ნულანდმა თბილისში ვიზიტის დროს კოალიციას დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მადლობა გადაუხადა



აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ვიქტორია ნულანდი 2013 წლის 6 დეკემბერს საქართველოში ვიზიტის დროს კოალიცას დამოუკდებელი ცხოვრებისთვისაც შეხვდა. ვიქტორია ნულანდი პრემიერ-მინისტრთან ირაკლი ღარიბაშვილთან და თავდაცვის მინისტრთან ერთად კანცელარიის შენობასთან პანდუსის გახსნას დაესწრო. პანდუსი კოალიციის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მიერ USAID-ის მიერ დაფინანსებით გაკეთდა.



**აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა კოალიციას "დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის", რომლებიც, მისი თქმით, წლების განმავლობაში აქტიურად მუშაობდნენ, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო თანაბარი ხელმისაწვდომობა შშმ ადამიანებისთვის".**



"მათ შორის, უკანასკნელ პერიოდში მათ უმასპინძლეს შშმ ადამიანების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ფორუმს, რომელსაც ესწრებოდა პრემიერი და მისი კაბინეტის შთამბეჭდავი რაოდენობა, მაგრამ გასაკეთებელი მეტია", - აღნიშნა ნულანდმა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ. პანდუსის გახსნის შემდეგ, კოალიციამ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, ფლეშ-მობი გამართა, რომელშიც ეტლით მოსარგებლე ახალგაზრდები პროფესიონალ მოცეკვავეებთან ერთად ცეკვავდნენ ჰიპ-ჰოპს.

2013 წლის 5 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც 5 წლის განმავლობაში ყველა საჯარო დაწესებულება იქნება ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის. დადგენილება კოალიციის აქტიური მუშაობის და თანამშრომლობის შედეგად იქნა მიღებული.









# სამომავლო გეგმები:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ ახალი კანონპროექტის მომზადება / ადგილობრივი კანონმდებლობის ჰარმონიზაციაში მოყვანა საერთაშორისო აქტებთან და ნორმებთან;
- შშმ პირთა გააქტიურება (განსაკუთრებით რეგიონებში), დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების სწავლება და მათი ჩართულობა ადვოკატირებისა და სამოქალაქო უფლებების დაცვის მოძრაობაში;
- სპინალური ტრამვის მქონე პირთა რეაბილიტაციის პროგრამების შემუშვება/განხორციელება, მათ შორის ნაწოლების რეკონტრუქციული ოპერაციების ჩატარება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების დასაქმების ხელშეწყობა სოციალური მეწარმეობის განვითარებისა და შშმ პირთა შრომითი უფლებების დაცვის/რეალიზების გზით;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საზოგადოებრივი ღონისძიებებით და კამპანიებით, სემინარებით, ტრენინგებით, გამოფენებით, საინფორმაციო კამპანიებით, წარმატებული მაგალითების ჩვენებითა და შესაძლებლობის დემონსტრირებაზე მიმართული აქტივობებით;
- ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობა სწავლების ყველა ეტაპზე და დონეზე;
- ინფრასტრუქტისა და ფიზიკური გარემოს ადაპტირება საკანონმდებლო ცვლილებებითა და აღსრულების მექანიზმების სრულყოფის გზით, ასევე, ადვოკატირების კამპანიებითა და პროცესის ლობირებით;
- დამხმარე, საკორექციო და სხვა ინდივიდუალური ადაპტაციის საშუალებების და საკომუნიკაციო რესურსების ხელმისაწვდომობა შშმ პირთა საჭიროებებზე მისადაგებით;
- შშმ პირთა შესახებ სახელმწიფო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენა და სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგი.